საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია  № 279  1918 წ. პარასკევი ივლისის 12  № 279

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ჩვენი რაზმი განაგრძობს წინსვლას ყაზბეგის მიმართულებით: გზაზე სრული სიწყნარეა, გლეხები მუშაობას უბრუნდებიან. —საჩხერეში სამხედრო წესებია გამოცხადებული; საჩართალში მისცეს აჯანყებულთა რამდენიმე მეთაური. — ქისტები თავს ესხმიან ფშაველებს; ესენი იარაღს სთხოვენ მთავრობას ქისტების განსადევნად. — მოსკოვში მემარცხენე სოც.-რევოლიუციონერებმა აჯანყება მოაწყვეს სახალხო კომისართა მთავრობის წინააღმდეგ; აჯანყება ბოლშევიკებმა ჩააქრეს.

693

**განცხადების ფასი**: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ—1 მან., უკან—50 კაპ. ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15—2 ღირს 10 მან., 20—2 ღირს 15 მან., 3 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში" (კ. თავართქილაძისეული „ნადეჟდა") ბარონის ქუჩა, სახლი № 14 და ეღირება სამი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო საქმის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакмэ", поч. ящ. 190.

ფასი ტფილისში და პროვინციაში 40 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 50 კაპ.

გაზეთი „სახალხო საქმე" ღირს:

ერთის თვით 8 მანეთი. ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 40 კ., რკ. გზის სადგურებზე 50 კ.

ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე, ფოსტით ასე: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, „სახალხო საქმის" რედაქციას.

საქართველოს სოც.-ფედერალისტთა პარტიის ქუთაისის კომიტეტი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს ქუთაისის პარტიულ რაზმის ხელმძღვანელის და ბათომის პარტიზანულ რაზმის ოფიცრის

## შალიკო ვაშაძის

ოსმალებთან ბრძოლის დროს გმირულად დაღუპვას. დაკრძალვა მოხდება ქ. ქუთაისში კვირას ივლისის 14 ს. 725

ღრმად დამწუხრებულნი ბიცოლა ანა, ბიძაშვილები მარგალიტა, რივეკა, სიმონიკა დათიკო ვაშაძეები და კოწია გამსახურდია აუწყებენ ნაცნობთა და მეგობართ ბრძოლის ველზე გმირულად დაცემულ მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტ

## შალიკო ვაშაძის

უდროოდ დაკარგვას გამოსვენება მოხდება კვირას, ივლისის 11 ს ქ. ქუთაისში საკუთარი სახლიდან სავარციხის სასაფლაოზე. 72

გულდათუთქული დედა ნინო გრიგოლის ასული, უზომოთ დამწუხრებული ძმები ისაია და ვ ნო ვაშაძეები ვაუწყებთ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ აპრილის 10 ს სოფ. ჩაქვში ოსმალოებთან ბრძოლის დროს მოჰკლეს მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი პრაპორშჩიკი

## შალიკო ვაშაძე

მიცვალებული მოასვენეს გურიიდან ქუთაისში ივლისის 5-ს. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე, გამოსვენება მოხდება კვირას, ივლისის 14-ს, ნაშუადღევის 5 საათზე ქ. ქუთაისში. მისი პატივცემული მეგობრები არიან გაფრთხილებულნი საკუთარი სახლიდან სავარციხის სასაფლაოზე.

დათიკო და ჯვებე პავლეს ძენი იოსელიანები აუწყებენ მეგობართ ძვირფასი ღმობრეული სიძის

## დიმიტრი მელაძის

უეცრად გარდაცვალებას, გამოსვენება მოხდება არამიანცის საავადმყოფოდან 4 საათზე, ივლისის 12 ს და დაკრძალვა 6 საათზე დიდუბის ეკლესიის გალავანში. 731

ბაბილინა პავლეს ასული და გიორგი ივანეს ძე ჯორჯიკიები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველი ძვირფასი სიძის და მეორე ქვისლის

## დიმიტრი როსტომის ძე მელაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა დანიშნულია ივლისის 12-სათვის საღამოს ექვს საათზე დიდუბის ეკლესიის სასაფლაოზე. 732

კირილე ბესარიონის ძე და მარინე ტიმოთეს ასული ხარაძეები და მათი შვილები ქეთო, არჩილ, ნინო, თამარ და გენო აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ამ თვის 13 ს სადგურ წიფაში ალექსანდრეს ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი მოსკოვში გარდაცვალებულ ძვირფასი მოყვრის და ძმის

## ვახუშტი იოსების ძის ბარბაქაძის

სულის მოსახსენებლად. 734.

ივლისის 13 ს სადგ. წიფას ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ქ. მოსკოვში გარდაცვლილ ძვირფას და დაუვიწყარ

## ვახუშტი იოსების ძის ბარბაქაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ განსვენებულის დედა ოლღა ექვთიმეს ასული დუმბაძე და ნინო და სიძე სერგო ხახიშვილი თინაკოთი. 735.

მარიამ პავლეს ასული მელაძისა, თამარ, შერი, მიტო და ემა აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს პირველი ძვირფასი მეუღლის და დანარჩენთა მამის

## დიმიტრი როსტომის ძე მელაძის

გარდაცვალებას, გამოსვენება მოხდება არამიანცის საავადმყოფოდან საღამოს 4 საათზე (ხალი დროთი) ივლისის 12-ს დაკრძალვა დიდუბის ეკლესიის გალავანში იმავე დღეს. 731

# ანონსი

შაბათს, 1918 წლის ივლისის 13-ს გაიხსნება პირველი ხარისხის სასადილო

## „საქართველო"

ყოფილი „ამირანი" პუშკინის ქუჩა ძველი სემინარიის შენობაში. შენობა ახლად შეკეთებულია ცალკე კაბინეტებით დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი.

სადილი შუადღის 12 საათიდან საღამოს 5 საათამდე, ვახშამი საღამოს 9 საათიდან ღამის 1 საათამდე. სამზარეულო აზიური და ევროპიული, საჭმელები კეთდება საუკეთესო მასალიდან საუკეთესო მზარეულის ხელმძღვანელობით.

## პოდპორუჩიკი იური ლუკას ძე

## პროშიძე

მსახურებდა შავი ზღვის „პოგრანიჩნ" ბატალიონში. აპრილის 10 ს იღებდა მონაწილეობას სოფ. ჩაქვთან ბრძოლაში მას შემდეგ ჩისმა მშობლებმა არაფერი იციან მის შესახებ, ვსთხოვ ვინც რამე იცის მის შესახებ, გვაცნობოს შემდეგი მისამართით: სად. ნიგოითი მორიცკ რაჟდენ პროშიძეს. 733

## ქართ. ვაჭარ-მრეწველთა კავშირის საბჭოსაგან

მოკლე ხანში საზღვარ გარეთ მიემგზავრებიან მრეწველობისა და ვაჭრობის მცოდნე პირნი. საბჭო ამით აცხადებს, რომ ვისაც მსურს რისამე დაბარება სხვა და სხვა ქარხნების მოსაწყობად, საჭირო ცნობების შეკრება და სხვა და სხვა საქონლის ყიდვის შესახებ, ვსთხოვთ მობრძანდნენ საბჭოს ბინაზე ყოველ დღე 11—12 საათამდე (ახალი დროით) და განუცხადონ თავიანთი სურვილი.

მისამართი: ქ. ტფილისი, ფრეილინის ქ. 11, ტელ. 9—18. 726

18 წლის ცნობილი **გამომჭრელი** (ზაკროიშჩიკი)

წევრი მკსპერტი პეტროგრადის და მოსკოვის გამომჭრელთა კავშირისა,

## პ. მ. კაშია

ხსნის ამ ზაფხულს ორივე სქესისთვის ყოველნაირს

## ჭრის კურსებს

ყოველ ოჯახისა სახელოსნოსთვის საჭიროა სამაგალითო საადვილო ახალ გამოგონილ სისტემით. როგორც მკერავი ისე არა მკერავსაც, ადვილად ითვისებს, ლექცია—საუბრებით, რომელიც აუცილებელია ყოველი ევროპიელი შეგნებული მცოდნე ჭრა მკერვალისთვის. მისამართი სასახლის ქა სახლი ქართ. თავად აზნაურობისა, ეზოში მიქელაძის სამკერვალოში № 24 ჩაწერა შეიძლება 5—7 საათ საღამოს. საზოგადოებასა და კავშირებს შეღავათი. ღარიბთ ერთი ადგილი და ყველას სანიმუშო გაკვეთილი უფასოდ. მეცადინეობა იქნება დილითა და საღამოთი კურსებთან ერთად იქნება პრაქტიკული სახელოსნო. 794

**ტფილისი. 1918 წ. ივლისის 12.**

**სოფლის კომისრები.** თამამად შეიძლება ითქვას, რომ ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი სოფლებში გამეფებული ანარქიისა ის არის, რომ ადგილობრივ ადმინისტრაციას არავითარი ავტორიტეტი არა აქვს.

სოფლის კომისარი თითქმის ყველგან და ყოველთვის დამოუკიდებლად მოქმედობს, მოქმედობს ისე, როგორც საკუთარი ქუდა გაუჭრის და პოლიტიკური ალღო უკარნახებს. იმ დროს, როდესაც რევოლიუცია თავის პირველ დღეებს განიცდიდა, ერთგვარი იდეიური კავშირი კომისრებსა და ცენტრალურ მთავრობას შორის არსებობდა, მაგრამ მალე ეს კავშირი გაწყდა და ეხლა მთავრობამ არც კი იცის, რომელ სოფელში ვინ არის კომისრად და რას აკეთებს. ჩვენ ვიცით, რომ ერთს სოფელში გორის მაზრაში ასეთი ამბავი მოხდა: ყაჩაღურად განწყობილმა ელემენტებმა ადგილობრივი მემამულე მოჰკლეს და მისი ქონება ყაჩაღურად დაიტაცეს. საქართველოს მტრებმა, ადგილობრივმა სომხებმა ჩარჩ-ვაჭრებმა, ამ გარემოებით ისარგებლეს და საქმე იმნაირად მოაწყეს, რომ სოფლის კომისრობიდან, წინააღმდეგ ხალხის დიდი უმეტესობის სურვილისა, ძველი კომისარი, რომელიც დარაჯად იდგა წეს-რიგსა და ქართველი ხალხის ინტერესებს, გადააყენეს და სწორედ ეს ყაჩაღი და მკვლელი აირჩიეს კომისრად, ამისთანა მაგალითები არა ერთი და ორი ჰხდება სოფლად. ვინ არის დღეს კომისრად სოფელში, ჩაითვლება იგი მთავრობის წარმომადგენლად თუ არა, ამის შესახებ მთავრობას არავითარი წარმოდგენა არა აქვს. ამიტომ ბევრგან არა სასურველი ელემენტი იჭერს კომისარის ადგილს და მძიმე ლოდად აწვება მცხოვრებლებს, რომელთა დიდი უმრავლესობა დრტვინავს ამ ძალით გაკომისრებული ელემენტების უღელ-ქვეშ.

ამ ანარქიულს წესებს კომისრების არჩევნებისას და გადაყენებისას ბოლო უნდა მოეღოს. ბოლო კი მხოლოდ მაშინ მოეღება, როდესაც სოფლის კომისრების არჩევნები ერთგვარი წესით მოხდება. უპირველესად ყოვლისა მთავრობამ უნდა გამოსცეს ერთგვარი დებულება კომისართა უფლება—მოვალეობათა შესახებ. ამ დებულებაში აღნიშნული უნდა იყოს, რომ სოფლის კომისარი ვალდებულია დარაჯად უდგეს კანონს და ასრულებდეს მთავრობის ყოველნაირ განკარგულებას, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი სამართალში უნდა იყოს მიცემული. შემდეგ თვით არჩევნებიც განსაზღვრული წესით უნდა მოხდეს. უპირველესად ყოვლისა კომისარის არჩევანი უნდა ჰხდებოდეს სამაზრო კომისარის წინადადებით იმ დროს, როდესაც სოფლის კომისარს სამსახურის ვადა გაუთავდება. სამსახურის ვადის გათავებამდე სოფელს უფლება არ უნდა ჰქონდეს კომისარი გადააყენოს და ახალი კომისარი აირჩიოს. თუ კომისარს რამეში დანაშაულობა მიუძღვის კანონის წინაშე, სოფლის მცხოვრებთა განსაზღვრულ რიცხვს უფლება უნდა ჰქონდეს საჩივარი აღძრას სათანადო მთავრობის წინაშე. თუ საჩივარი მართალი გამოდგა და კომისარს უკანონო მოქმედება დაუმტკიცდა, იგი გადაყენებულ უნდა იქმნას და პასუხისგებაშიც უნდა მიეცეს. უდანაშაულო კომისარის გადაყენება კი მხოლოდ იმიტომ, რომ რამდენიმე გახრწნილ-გაიძვერულ ჯარისკაცს ის არ მოეწონება, ან პროვოკატორები და ქართველი ხალხის მტრები, რომლებიც ბლომად არიან გაფანტულნი ჩვენს სოფლებში, მის წინააღმდეგ ცანცაში ასტეხენ,—ყოველნაირი ამნაირი მიზეზით კომისრების გადაყენება მთავრობის ავტორიტეტსა და პრესტიჟს სცემს და მთავრობამაც ამის უფლება არავის არ უნდა მისცეს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სათანადო დებულებათა გამოცემის შემდეგ უნდა მოხდეს ახალი არჩევნები კომისრებისა ყველგან და უნდა მოხდეს აუცილებლად მაზრის კომისრების დასწრებით. სოფელს უნდა გამოეცხადოს, რომ კომისრის გადაყენება ყოველთვისა და ყოველივე მიზეზის გამო არ შეიძლება, სოფელს უნდა აესხნას ისიც, რომ კომისარი მთავრობის წარმომადგენელია და ამიტომ ყოველი მისი კანონიერი განკარგულება ასრულებულიც უნდა იქმნას.

თუ ასე არ მოეწყო სოფლის ადმინისტრაცია, წეს-რიგის დამყარებას ვერასოდეს ვერ ვეღირსებით.

## მთავრობაში.

იუსტიციის სამინისტრომ მთავრობას მოახსენა ზაქათალის ადგილობრივი მომრიგებელი განყოფილების გაუქმების შესახებ.

—

ვაჭრობა მრეწველობის სამინისტრომ აცნობა მთავრობას, რომ საწინააღმდეგო არაფერი აქვს, რათა თანახმად ქუთაისის ქალაქის თავის შუამდგომლობისა ქუთაისის სასარგებლოდ მარგანეცის თითო ფუთზე კაპეიკი გადადვას.

—

შრომის სამინისტრომ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე დააკმაყოფილონ რკინის გზის მუშები და მოსამსახურეები.

## დუშეთის ამბები

ფასანაურიდან სახალხო რაზმის მთავარ შტაბს აცნობებენ: ივლისის 10-ს, დილის 9 საათიდან საღამოს 6 საათამდე ბრძოლა სწარმოებდა. მოწინააღმდეგეთ აღმოაჩნდათ 2 ზარბაზანი. ჩვენ რაზმს მიზნად აქვს ყაზბეგის მიმართულებით წაიწიოს.

ანანურში 15 ყუთი მონპასე დასტოვეს ბოლშევიკებმა. სჩანს, კავშირი ქ. ვლადთან აქვთ და იქიდან ყოველივე დახმარებას იღებენ. გზაზე ფასანაურამდე სრული სიწყნარეა. გლეხები თუმცა შეშინებულნი არიან ბრძოლების წყალობით, მაგრამ მაინც უბრუნდებიან მუშაობას. ანანურიდან რაზმელები გამოდიან და უხსნიან ხალხს, თუ რაშია საქმე. გლეხები მედგარებით დამშვიდებული არიან, ისინი დარწმუნდნენ, რომ ხიფათს გადარჩნენ და შეწუხებული არიან, რომ ისინი შეცდომაში შეიყვანეს ბოლშევიკებმა. დუშეთში და ანანურში სრულდება რევოლ. ტრიბუნალი.

## საჩხერეში

საჩხერეში ამ ჟამად გამოცხადებულია სამხედრო წესები. ეს ძალას ხალხმა და ამიტომაც როგორც გვატყობინებენ, ყველანი ცდილობენ სიტყვით და საქმით ხელი შეუწყონ იქ მოქმედ სამხედრო ძალებს რომ სრული რევოლიუციონური წესი იქნეს აღდგენილი და საქართველოს მტერნი სრულიად მოსპობილნი. სამწუხაროდ ბოროტნი აქაც არ ისვენებენ და ...

ლარ პორებს ავრცელებენ. შაბათს ივნისის 8-ს საჩხერეში დააპატიმრეს ორი სომეხი სარგის და ტიგრან მუკუზოვები. ესენი არიან ლტოლვილნი საიდანგაც გამოქცეულან და საჩხერეში შეუფარებიათ თავი თავიანთი ცოლშვილით. აღნიშნულ დღეს მუკუზოვები ჩამდგარან ხალხში გაუწევიათ პროპაგანდა, რომ აღარასფერი იქნება ჩვენ უნდა ბოლშევიკები მივიღოთ; ქუთაისიდან უკვე გაქცეულან მთავრობის წარმომადგენელნი, დაუმარცხებიათ მთავრობის ჯარი და ხვალ და ზეგ საჩხერეშიაც ამოვლენ გამარჯვებულნი ბოლშევიკები და გაანთავისუფლებენ ხალხს ამ მწუხარებისაგანაო, ასეთი საზიზღარი პროვოკაციისათვის კაპ. იშ—ნელის განკარგულებით მუკუზოვები სამხედრო საველე სასამართლოს პასუხის გებაში იქნენ მიცემულნი.

# რუსეთი

**მოსკოვი**. ივლისის 9. ყველას, ყველას. (გაგრძელება). პოპოვმა ალექსანდროვიჩთან ერთად კომისიის ჩუმად მიიღო ეს ხალხი ჩვენს რაზმში და მათ რაოდენობასაც ჰმალავდა. რაზმი შესდგებოდა წითელ-ლაშქრისაგან, ფინებისაგან, ხოლო მათი უმრავლესობა ჩეხო-სლოვაკების ფრონტზე გაემგზავრა; ბევრიც პოპოვმა გახდევნა და დარჩა მხოლოდ 200 კაცამდე. აჯანყების დროს კი რაზმში 2000 კაცამდე აღმოჩნდა. რადგან ესენი ყოყმანობდნენ, სპირიდონოვმა და სხვებმა მეზობელ ოთახში მიტინგი გამართეს; მეორე მხრით მათი კაპტენარმუსი აძლევდა მათ (ჯარის კაცებს) ორ-ორ წყვილს წაღებს, კონსერვებს, „ბარანკებსა" და შაქარს. მალე აღმოჩნდა, რომ მათი ნათქვამი ტყუილი იყო, ჩვენთან მოიყვანეს დატყვევებული თვით ვენგლინსკი... (გამოტოვებულია)... 40 კაცმა აქ იგინი დააკავა და დახვრეტას ემუქრებოდა. პოკროვის ყაზარმებიდან პოლკოვნიკი მოიყვანეს. მან სთქვა პოკროვის ყაზარმებში საბჭოთა მთავრობას ნდობას უცხადებენო, იგინი რომ აღეფრთოვანებიათ, ასმევდნენ მათ არაყს და თითქმის ყველა მთვრალი იყო. თვითონ პოპოვმა— ერთმა ჩვენმა ამხანაგმა ნახა—ერთი ჭიქა არაყი დალია. (გამოტოვებულია), კრემლიდან მზვერავები იყვნენ გაგზავნილი: ერთი მათგანი დახვრიტეს. როგორც გადმოგვცემენ ამ უწესრიგო სროლის დროს უამრავი გარეშე ხალხი დაიღუპა. უნდა ითქვას, რომ ყველა ფინი და ვენგლინსკის რაზმის ჯარისკაცი და ორი პატარა ზარბაზნის მცველები... (გამოტოვებულია). შიში ჰქონდათ თავისი დანარჩენი ამხანაგებისა, იგინი უკვე გრძნობდნენ თავის უიმედო მდგომარეობას და როდესაც მე უთხარი თქვენ თვითონ იწვევთ აქ გერმანელებს და არა ლეგალურად მუშაობა მხოლოდ მეთაურებს შეუძლიანთ, ხოლო გერმანელების შემოსვლა ერის სრულს დამონებას მოასწავებს მეთქი ისინი სპირიდონოვის გაზეპირებულ ფრაზით მიპასუხებდნენ: „არ ვარგა მირბახის წინ ლაქიობაო". საღამოს ჩვენთან მოირბინეს საბლინმა და დაჭრილმა პოპოვმა და გადმოგვცეს ყრილობაზე ტროცკის რეზოლიუცია მიიღეს მემარცხენე ს.-რევ. ალაგმვის შესახებო. შემდეგ პოპოვმა სთქვა მემარცხენე ს.-რევ. ფრაქცია და სპირიდონოვის ქალიც დატუსაღებულიაო. ის იმუქრებოდა გავანადგურებ ნახევარ კრემლს, ნახევარ თეატრს და ნახევარ ლუბიანკასო. სულიერი მდგომარეობა თვითეულ ცნობის მიღებაზე თანდათან უარესდებოდა. როდესაც ზარბაზნებმა იგრიალა და პირველი ყუმბარა მათ შტაბს მოხვდა, მთელმა ცენტრალურმა კომიტეტმა გაირბინა ჩვენს ფანჯრებთან; ეხლა ისინი სამოქალაქო ტანსაცმელში იყვნენ წინად კი სამხედროში. „გათახსირებულნი, მხდალნი და მოღალატენი გარბიანო" მიაძახეს მათ... (გამოტოვებულია) თვითეული ტყვიის შემდეგ მეზღვაურთა რიცხვი გზაში თანდათან მცირდებოდა, რადგან საშტაბო შენობის დანგრევის შემდეგ ყუმბარები იმ ადგილს ეცემოდა, სადაც ჩვენ ვიყავით მოთავსებული. თანამგრძნობ ჯარისკაცებისა, ფინებისა და სხვათაგან ჩვენ შევადგინეთ მცველი რაზმი და მათთან ერთად სახელოსნოში გადავედით. ჩვენ სიტყვით მივმართეთ იქ შეგროვილ ჯარისკაცებს—სირცხვილი, რომ რევოლიუციის მოღალატეებს მხარს უჭერთო—უთხარით მათ. მაშინ წამოხტა საბლინი და ლანძღვა-გინებით უბრძანა მათ თავისი პოსტები დაეკავათ. სახელოსნოს ჯარისკაცებმა გადმოგვცეს ჩვენ იარაღი და ყუმბარები.

ჩვენი სადგომის დანგრევის შემდეგ ს.-რევ. ცხენებითა და ზარბაზნებით (გასაღები ჩვენმა თანამგრძნობმა ჯარისკაცებმა ამოიღეს) კურსკის ვოკზლისაკენ წავიდნენ. დატუსაღებულებში იყვნენ გერმანიის და დანიის საელჩოს წევრები, რომელმაც თეთრი დროშაააფრიალა.

**მოსკოვი**. ივლისის 10. ს.-რევოლიუციონერთა მარცხენა ფრთის გალაშქრება სახალხო კომისართა მთავრობის წინააღმდეგ უნდა ვიფიქროთ, უნაყოფოდ ჩატარდა. ს.-რევოლიუციონერთა აჯანყება მალე ჩააქრო მოსკოვის გარნიზონმა, შედარებით ადვილად. ქალაქში წესრიგი აღდგენილია. ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში დგება. მემარცხენე ს. რევ. კონტრ-რევოლიუციონურ აჯანყების დროს დაატუსაღეს 1000 კაცამდე. ბოლშევიკების მდგომარეობა კიდევ უფრო განმტკიცდა.

სანდო წყაროებიდან ვიცით, რომ ბოლშევიკების საწინააღმდეგო გამოსვლას მხარს უჭერდნენ რუსეთის ბურჟუაზიული წრეებიც, და აგრეთვე ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტთა აგენტები.

**არხანგელსკში.**

**ბერლინი**. ივნისის 10. რუსეთის გაზეთების ცნობებით, ივნისის 28 ს სამთა შეთანხმებამ ფრანგებისა და სერბების არხანგელსკში გადმოსხმა მოაწყო, რათა ამით დაასწრონ გერმანელ ტყვეებს ქალაქისა და მის მიდამოების დაპყრობა.

**რუსეთი და ბულგარეთი.**

**სოფია**. ივლისის 9. გუშინ რუსეთის ელჩმა და ბულგარეთის რწმუნებულმა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების დამტკიცებული დოკუმენტები გასცვალეს.

# მირბახის მოკლისათვის

**მოსკოვი**. ივლისის 9. სახაზინო გზებზე ცნობა მირბახის მოკვლისა და ამის შემდეგ დაწყებულ არეულობის შესახებ იმდენად მოულოდნელი იყო რკინის გზის მოსამსახურეებისათვის, რომ პირველში არავის სჯეროდა, ხოლო ნამდვილი ცნობის მოსვლის შემდეგ ზომები იქმნა მიღებული: გზათა სახალხო კომისარიატის მოადგილის განკარგულებით დაუყოვნებლივ იქმნა გამოწვეული რკ. გზის მცველი სამხედრო როცა და საექსპლოატაციო სამართველოს ყარაული რკ. გზის მთავარი აპარატის შენობის გარშემო დააყენეს, როდესაც ცნობა მოვიდა ცენტრ. ტელეგრაფის დაკავების შესახებ, ყველა ფეხზე დადგა და 300 კაცისგან შემდგარი რაზმი მზად იყო ბრძანებისამებრ გამოსულიყო ერმაკოვის ყაზარმებიდან. რკ. გზის სამართველოში თავი მოიყარეს მოსამსახურეებმა და ბჭობდნენ ზომების მიღებაზე სადგურების, გზის, მატარებლის დასაცავად. გაძლიერებული იქმნა ნიკოლოზის გზის დაცვა, ჩრდილო, ყაზანის და კურსკის გზების, ყველა პასუხისმგებელი ხელმძღვანელი თავის ადგილს იყო ისევე, როგორც დანარჩენი, რომელნიც შაბათსა და კვირას კომისარიატსა და რაიონებში იყვნენ და სამხედრო უწყებას ემსახურებოდნენ. ცენტრ. ტელეგრაფის აღების დროს საექსპლოატაციო სამართველომ წამსვე აუწყა ყველაფერი რესპუბლიკის ყველა პუნქტს: ყაზანს, პენზას, ვორონეჟს, და აგრეთვე პეტროგრადს. მუშები არ თანაუგრძნობენ გიჟურ ავანტიურას, ორიოლიდან შაბათსვე მოვიდა ცნობა ორიოლის რკ. გზის მოსამსახურეები საბჭოთა მთავრობას ემხრობაო. ესევე არ ითქმის რკ. გზის მოსამსახურეთა წვრილ ბურჟუაზიულ ნაწილზე. აქ კიდევ ელოდნენ შეიძლება გასრისონ წყეული ბოლშევიკებიო. რკ. გზის მთელი რაზმები მონაწილეობას იღებდნენ აჯანყების ჩაქრობაში. როდესაც მემარცხენე ს.-რევ. დამარცხებული რაზმის (პოპოვის მეთაურობით) ნაწილი მოსკოვის მეორე (კურსკის) სადგურის დაკავებას ლამობდა, კურსკის გზის სამხედრო სარევოლიუციო კომიტეტის რაზმა ამხ. იაკოვლევის მეთაურობით გარეკა ს.-რევ. რკინის გზის რაიონიდან. ს.-რევ. ვლადიმერის გზატკეცილით გაიქცნენ სუმს აქ მათ შეეტაკა ჩვენი სამხედრო და სარკინიგზო რაზმები, შემდეგ გამოტოვებულია და დამახინჯებული.

**მოსკოვი**. ივლისის 10 ორშაბათს, გერმანიის სადიპლომატო მისიის ბინაზე გერმანიის ელჩის გრაფ მირბახის მოკვლის გამო სამგლოვიარო კრება იყო. მიცვალებულს გერმანიაში მიასვენებენ: ვოკზალზე საგარეო საქმეთა კომისარმა ჩიჩერინმა კიდევ ერთხელ განუცხადა რუსეთის ფედერატიული რესპუბლიკის სახელით სამძიმარი გრ. მირბახის მოკვლის გამო.

თუმც ენერგიული ზომებია მიღებული, მაგრამ ელჩის მკვლელები ჯერ კიდევ ვერ აღმოაჩინეს.

**ჟენევა**. ივლისის 10. გერმანიის რადიოს ცნობით, გუშინდელი ფრანგული პრესა ერთხმად ზეიმობს გრაფ მირბახის მოკვლის გამო. დღევანდელ თავის პრესაში ფრანგები უყურებენ ამ მკვლელობას, როგორც საბაბს იმისათვის, რომ გერმანელების ჯარმა მოსკოვი დაიკავოს.

# გერმანიის საგ. საქ. მინისტრის ფონ-კიულმანის სიტყვა საქარ. შესახებ *)

ივნისის 24-ს გერმანიის რეიხსტაგში საზოგადო პოლიტიკური და მილიტარული მდგომარეობის გარჩევის დროს, საგარეო საქმეთა სახელმწიფო სეკრეტარმა (მინისტრმა) ფონ-კიულმანმა დიდი სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიც სხვათა შორის საქართველოს საკითხსაც შეეხო. ამ საგნის შესახებ მინისტრმა სთქვა: „მეფის მთავრობის მოსპობამ კავკასიაში წარმოშვა მთელი რიგი პრობლემისა. საქართველო, რომელიც იქ ყველაზე მეტად მტკიცე სახელმწიფოს წარმოადგენს, რუსეთის ბატონობის გაქრობის შემდეგ იმ თავითვე სცდილობდა თავისი ნაციონალური ცხოვრება ხელახლა მოეწყო და დამოუკიდებლად განევითარებინა. საქართველოს მიეკედლნენ შედარებით ახალი და ნაკლები მტკიცე ერთეულები, სომხეთი რომელიც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შექმნას ლამობდა და აგრეთვე თათრები, რომელნიც აღმოსავლეთ კავკასიაში ბაქომდე მცხოვრებთა მასის უდიდეს ელემენტს წარმოადგენენ. ეს სამი სახელმწიფო შეეცადა შეერთებულიყო ამიერკავკასიის რესპუბლიკაში და ამით თავისი შინაგანი და გარეგანი ძალა განემტკიცებინა.

ოსმალეთმა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობის ძალით უკან მიიღო ოლქები, რომელიც 1878 წელს რუსეთს დაუთმო, ბოლო დროს ოსმალეთი მესოპოტამიაში სტრატეგიული ურთიერთობის გართულების გამო იძულებული გახდა ესარგებლა ბათომ-თავრიზ-ჯულფის გზით, რათა უზრუნველეყო საეტაპო ხაზი ჩრდილოეთ ადერბეიჯანიდან ტიგროსის დაბლობისკენ მიმავალი. ოსმალოს ჯარის მარცხენა ფრთამ გადააბიჯა ბრესტლიტოვ. ზავის მიერ შემოხაზ. საზღვრებს და საკმაოდ ღრმად შეიჭრა იქეთ ტერიტორიაში, რომლის ხანგრძლივი ოკუპაცია ან ანექსია ოსმალეთის მიერ ბრესტლიტოვსკის ზავის მიხედვით არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაშვებულ იქმნას. მაგრამ, როგორც ოსმალოს ჯარის უმაღლესი გამგებლობა იღწმუნება, ეს მხოლოდ სტრატეგიული მიზნებით მოხდა, გერმანიისა და ოსმალეთის სამხედრო მართველობამ ყოველ მხრივ გამოარკვია ეს საკითხები. ოსმალოს ჯარის წინსვლა კავკასიაში, როგორც გვატყობინებენ, შეჩერებულია და კავკასიის საქმეების მოწესრიგება კონსტანტინეპოლის კონფერენციაზე მოხდება.

საქართველოს სახელმწიფომ, რომელთანაც ჩვენ მეგობრული ურთიერთობა გავაბით და რომლის არსებობაც დიპლომატიური ნოტების გაცვლა-გამოცვლით დე ფაქტო (ფაქტიურად) ვსცანით, ბერლინში თავისი საგარეო მინისტრი გამოგვიგზავნა ამ უკანასკნელთან ახლა მეგობრული აზრთა გაცვლა-გამოცვლა გვაქვს. ჩვენ ჩვენის მხრით, ტფილისს დიპლომატიური მისიით გენერალი ფ. კრესსი გავაგზავნეთ, რათა ერთი მხრით თვით საქართველოსა და მეორე მხრით კავკასიის დახლართულ პირობების შესახებ ნათელი წარმოდგენა შეგვედგინა. ჩვენ ვუსურვებთ საქართველოს სახელმწიფოს, მის მამაც ხალხს და მდიდარ ქვეყანას ბრწყინვალე მომავალს (ცხარე ბრავოს ძახილი) და სიხარულით ვეცდებით რამდენადაც ძალა შეგვწევს საქართველოს და გერმანიის შორის მეგობრული ურთიერთობა განამტკიცოთ (ბრავო). („ს.")

*) ამოღებულია ოფიციალ. „ნორდდოიტშე ალგემაინე ცაიტუნგიდან".

# ომის ქრონიკა

**დასავლეთის ფრონტი.**

**ბერლინი**. ივლისის 10. სამხედრო ცნობა.

**კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი:** კემელის რაიონში, ლისთან და სომასთან მოქმედება გაცხოველდა. ღამით ფრანგი პატრულები თავს დაგვესხნენ.

**გერმანელ კრონპრინც ლაშქარი:** ფრანგებმა განაგრძეს თავისი იერიშები. ნუაიონის სამხრეთ-დასავლეთით და ენის სამხრეთით ფრანგებმა არა ერთხელ შემოგვიტიეს დიდი ძალებით და მოახერხეს პორტსა და დელიეში გამაგრება და აგრეთვე თავის ძველ პოზიციებზე ლონგპორტის დასავლეთით. მახლობელ სექტორებში მტერი მოვიგერიეთ ცეცხლის საშუალებით. ერთი ადგილობრივი იერიშის დროს შატო-ტიერის დასავლეთით ჩვენ ტყვეები ჩავიგდეთ ხელში. რეიმსის მახლობლად მტრის მზვერავები მოქმედებენ.

**ჰერცოგ ალბრეხტის ლაშქარი** ზუნდჰაუში, ლარდგიტცესის ჩრდილოეთით ჩვენი შემტევი ნაწილები დაბრუნდნენ ფრანგების თხრილებიდან და ტყვეები მოიყვანეს.

**ბერლინი**. ივლისის 10. საღამოს ცნობა. ფრონტებზე ახალი არაფერი მომხდარა.

**პარიზი**. ივლისის 10. ფრანგების ჯარი ზოგიერთ პუნქტში მტრის თხრილებში შეიჭრა შავინის ჩრდილოეთით. ფრანგებმა დაიპყრეს ლოერილის ფერმა და ზოგიერთი ნაწილი კასიერის აღმოსავლეთით. ფრანგების პატრულებმა იერიში მიიტანეს მტრის ბანაკზე და რამდენიმე კაცი დაატყვევეს სხვა ფრონტზე საგულისხმო არაფერი მომხდარა.

**პალესტინის ფრონტი.**

**სტამბოლი**. ივლისის 10. ზღვის სანაპიროებით ცხოველი საარტილერიო მოქმედებაა ჩვენმა ბატარეებმა სროლა აუტეხეს მტრის ბანაკს. იორდანეს აღმოსავლეთით მტრის პატრულები ეცადნენ წინ წაწევას: ისინი მოგერიებულ იქმნენ სხვა ფრონტზე საგულისხმო არაფერი მომხდარა.

# პარლამენტის გარშემო

**საქართველოს ეროვნული საბჭო**

**მე-12 კრება.**

დანიშნულია პარასკევს 1918 წლის ივლისის 12-ს. დღიური წესრიგი: ცნობა კომისიებში გადაცემულ კანონ-პროექტების შესახებ. 1, საბოლოო რედაქცია ეროვნულ საბჭოს კანცელარიის შტაბების და ხარჯთაღრიცხვის კანონისა, მომხსენებელი რაჟდენ არსენიძე. 2, საბოლოო რედაქცია შო

# ახალციხის დღეები

**მაისს 19.**

დილის 4 საათია და ვხედავთ როგორ გარს უვლის ხალხი გალობით ჯვართ ამაღლების ეკლესიას, სადაც ასვენია ივლიტის ღვთისმშობლის ხატი. ეს გალობაც ინსტიქტიურად იმედს იძლევა და ასე თუ ისე დარაჯებზე კარგ შთაბეჭდილებას ახდენს, მაგრამ იმედები და კარგი შთაბეჭდილებაც სწრაფად გვექარწყლდება, როდესაც პოზიციაზე მოსულ ქალაქიდან 3 ბერძნის ქალის გულშემზარავი ტირილი და ქვითინი მოგვესმის. ეს ქალები სტირიან თავიანთ ქმრის, მამის თუ ძმის დაღუპვას სოფ. მიქელ-წმინდაში და უშიშრათ მიდიან მიქელ წმინდისაკენ თავიანთი პატრონების მოსაძებნად, მაგრამ თვალ-ცრემლიან, და გულგახეთქილ დედაკაცებს ვაბრუნებთ უკან, დიახ უკან ვაბრუნებთ, რადგანაც მიქელ-წმინდა მტრის ხელშია და ქალებსაც, თუ იქ წავლენ, სიკვდილი მოელით.

დღეს ახალციხეში ველოდით დატყვევებულ სოფ. არალში მაჰმადიანთა შტაბის ჩამოყვანას, მაგრამ შტაბის დატყვევება ტყუილი გამოდგა და იმის მაგიერ ჩამოიყვანეს 3 დაჭრილი ჩვენი გლეხი. დაჭრილების სიტყვით მაჰმადიანებს გუშინ მოუკლავთ ერთი არალელი გლეხი და შეტაკების დროს მსუბუქათ დაუჭრიათ აფიცერი ელიზბარაშვილი. დაჭრილებისავე სიტყვით ჩვენებს წაურთმევიათ მაჰმადიანებისათვის 3 თოფი. შეტაკებაში მუსულმანებს გაცილებით დიდი ზარალი მოსვლიათ, ვიდრე ჩვენებს.

წყურთი, წირა და მიქელ-წმინდა დღესაც იწვის. უკანასკნელ სოფელში იწვის დანარჩენი სახლები და საყდარიც. ამნაირად მაჰმადიანებმა არ იკმარეს სახლების გადაწვა-გადაბუგვა და გადასწვეს სამი ეკლესია, ამით მათ ჩაიდინეს მეტის მეტი ველურობა, შეურაცხჰყვეს ქრისტიანთა სარწმუნოება, ჩამოვარდნილ კონფლიქტს მისცეს რელიგიოზური ხასიათი და ჩამოაგდეს ისეთი შური, რომ ჩვენის აზრით შემდეგში ქრისტიანებსა და მაჰმადიანების ერთმანეთთან ცხოვრება შეუძლებელია, და თუ შესაძლო იქმნება ერთად ცხოვრება, მაინცა და მაინც ნახევარ საუკუნის განმავლობაში, სარწმუნოებრივ ნიადაგზე ერთმანეთში შეხლა-შემოხლას ექმნება ადგილი.

თუმცა ადგილობრივი სომხობაც მოძრაობას აძლევდა სარწმუნოებრივ ხასიათს, მაგრამ ჩვენ ქართველები ამ მოძრაობას ვუცქეროდით და მცირე გამონაკლისით ვუცქერით კიდევ პოლიტიკური თვალსაზრისით. ამნაირი აზრისა ვართ ქართველები, ეს უნდა შეიგნოს ყოველმა ქართველმა, უნდა შეიგნონ სომხებმაც და მაჰმადიანებმაც და თუ ამას ვერც ერთი მხარე ვერ შეიგნებს, მაშინ არ უნდა დაავიწყდეთ ის, რომ სწორეთ რელიგიოზურმა ქიშპობამ, მე-19 საუკუნოების განმავლობაში, დიდი ოსმალეთი ძალზე დააპატარავა და სწორეთ ეს რელიგია და შოვინისტობა იყო, რომ სასომხეთი დედამიწის ზურგიდან აღიგავა და დარჩენილი მისი ერი დღეს ხან ერთ კედელს ეყუდება და ხან მეორეს.

დღემდის ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ თუ მაჰმადიანებს აღმოაჩნდებოდათ ზარბაზანი, ეს იქმნებოდა არტაანიდგან მათ მიერ გადმოტანილი რუსის ზარბაზანი, მაგრამ დღეს, მაჰმადიანების-მიერ 4 მაის გამოსროლილ ყუმბარის ოსმალურ წარწერიდგან დავრწმუნდით, რომ ის ზარბაზანი, რომლიდანაც მაჰმადიანები ესროდნენ ყუმბარებს ახალციხეს, გადმოტანილია ოსმალეთიდგან. სწორეთ ვერ გაგვიგია ოსმალეთის ასეთი ორმაგი პოლიტიკა, ვერ გაგვიგია, რადგანაც ოსმალეთის მთავარსარდალი ვახიბ ფაშა გვეუბნევა: ოზურგეთის მაზრის ნაწილს დაგიბრუნებთ ზავზე ხელის მოწერის შემდეგო და ამავე დროს ახალციხის მაზრის მაჰმადიანებს უგზავნის ოსმალეთის ზარბაზან-ყუმბარებს ახალციხის და მის მაზრის დასაპყრობად.

ჩვენ იმ აზრისა ვიყავით, რომ ოსმალეთი დაკმაყოფილდებოდა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობას, არ გადასდგავდა დიდი ავანტიურისკენ ნაბიჯს და არ მოითხოვდა ახალციხის მაზრას. დარწმუნებული ვიყავით, რომ მხოლოთ მოღალატე ბეგებს უნდოდათ და უნდათ დღესაც ახალციხე მაზრით შეუერთდეს ოსმალეთს. დღეს-კი გამოსროლილ ყუმბარაზე წარწერამ დაგვიმტკიცა, რომ არა თუ ბეგებს, თვით ოსმალეთსაც დიდი მადა ჰქონია, რომ ახალციხე თავისი მაზრით შეიყვანოს თავის ტერიტორიალურ ფარგლებში.

ორივე მხრით სწარმოებდა დრო გამოშვებითი თოფის სროლა. ჩვენები ისროდენ ზარბაზნებიდგანაც. მაჰმადიანები ზარბაზანს აღარ ხმარობენ. ალბად ეს ზარბაზანი მათ წაიღეს აწყურისკენ.

დღეს ივლიტის ღვთის-მშობლის ხატი სამღვდელოების და დიდ-ძალი საზოგადოების თანდასწრებით გადაასვენეს ივლიტის ქართველ-კათოლიკეთა ეკლესიაში, ამით დამთავრდა საზოგადოების, ექვსი დღის განმავლობაში, ჯვაროსანი მსვლელობა ეკლესიიდგან ეკლესიაზე.

**მაისს 20.**

დღეს სიჩუმეა, თოფის ხმა არსაიდგან არ მოისმის. სოფ. წყურთი, მიქელ-წმინდა და წირა მთლად გადაიწვა. ამ სოფლებში აღარაფერი დარჩა გადაუწვავი.

ურაველისკენ გაგზავნილმა ჯარმა მისცა საშვალება სოფ. მუსხის გლეხობას გამოხიზნულიყო სოფლიდან. გამოიგზავნა 80 კომლი, მაგრამ რომ იტყვიან „ვაის გავეყარე და ვუის შევეყარე"-ო, ასე მოუვიდათ მუსხელებს. მუსხში მათ ემუქრებოდნენ და აწუხებდნენ მაჰმადიანები და ეს იყო მათთვის ვაი. გამოხიზვნით კი მუსხელებმა ჯერ-ჯერობით დაჰკარგეს სოფელი, დაჰკარგეს მიმდინარე წლის მოსავალი და ამაების გარდა არ იციან სად შეაფარონ თავი, ამისათვის ისინი განიცდიან დიდ გასაჭირს და ეს არის მათთვის ვუი.

ჩვენის ღრმა რწმენით საჭირო იყო, სამხედრო პირებს ჯერ გამოენახათ მუსხელებისთვის ბინა და მერე გამოეხიზნათ ისინი სოფლიდან, მაგრამ სამხედრო პირებმა აქაც დაუშვეს შეცდომა და ამ შეცდომით მუსხის და მის მამულების ბატონ-პატრონნი გახდეს მაჰმადიანები, მუსხელები კი დარჩნენ ცის ქვეშ ღვთის ანაბარა.

თუმცა არა ვართ გამოცდილი სამხედრო საქმეებში და არც ვკისრულობთ სტრატეგიობას, მაგრამ თანამედროვე ომმა, თუ ბევრი არა, მაინც ცოტა რაიმე გვასწავლა, ამიტომ თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ მუსხის დაკარგვით ახალციხეს უფრო მოუახლოვდა განსაცდელი.

**მაისს 21.**

დღესაც სიჩუმეა, მაგრამ მცხოვრებლებში უფრო ორკეცდება შიში. დღეს ქალაქის თავმა ზორიანმა გაანთავისუფლა მარტის 29 დაპატიმრებული ა. ნიკიტინი შვილით. ნიკიტინის სიტყვით მას ბევრს აწვალებდნენ და სცემდნენ სომხები

საკვირველია, მაინცა და მაინც რა ღირდა ქალაქის თავის მიერ დაკარგული პორტფელი, რომ ნიკიტინები 41 დღე დაპატიმრებული, წვალებაში და ცემაში იმყოფებოდნენ არა მკითხე „სომხის მთავრობის" ხელში? როგორც გადმოგვცეს პორტფელში ყოფილა 30000 მან. ობლიგაციები ქალაქის სახელობაზე ასე, რომ ქალაქის გარდა ვერავინ ვერ შესძლებდა ობლიგაციების განაღდებას და სარგებლობას. მაშ რითი ისარგებლა პორტფელის მომპარავმა? ისარგებლა მხოლოდ პორთფელით, რომელიც, როგორც ქალაქის თავს განუცხადებია, ღირდა 20 თუ 25 თუმანი (?)

რაც დრო გადის, იმდენი ახალციხეში ვრცელდება ცრუმორწმუნოება და საქმე იქამდის მივიდა, რომ ხალხმა სალმთოებსაც მოუხშირა. ორი-სამი დღეა, დიდი თუ პატარა, მდიდარი თუ ღარიბი განაგრძობს სიარულს ერთ სომეხ ქალთან, რომელსაც ვითომდა, ცხადად უნახავს ღვთის-მშობელი ამ ქალს ყოველ დღე გარს ახვევია ხალხი, რომელიც არასფერს არა ზოგავს და ასაჩუქრებს მას რითაც კი შეუძლია. ასე, რომ ღვთისმშობლის ვითომდა მნახველმა ქალმა ერთი-ორი წლით უკვე უზრუნველჰყო თავისი მატერიალური მდგომარეობა.

**მაისს 22.**

სრული ერთი თვეა, რაც ფოსტა და გაზეთები არ მიგვიღია, ამიტომ გვიცრუვდება იმედები, გვიცრუვდება რადგანაც დაგვივიწყა ჩვენმა მთავრობამ, დაგვივიწყა მთელმა კაცობრიობამ და არ ვიცით როდის დავაღწევთ თავს ამ აუტანელ მდგომარეობას. დღეს ჩვენ გვეუბნევიან და გვარწმუნებენ: ამიერკავკასიის მთავრობა უცდის საზავო მოლაპარაკების გათავებას ბათომში და მხოლოდ მის შემდეგ გადადგავს ნაბიჯს ახალციხის საქმეების მოსაწესრიგებლადაო. თუ მართალია ეს ასეა, მაშინ სწორედ ახალციხეზე ითქმის ქართული ანდაზა: „სანამ პეტრე მოვიდა, პავლეს ტყავი გააძრესო"-ო. მაინცა და მაინც არ გვესმის ასეთი განმარტება ჩვენი მთავრობისა. თუ მართლა ის უცდის ზავის შედეგებს, მაშ რათ მისცა ნება გენერალ მაყაშვილს 12 აპრილიდან დაეწყო საომარი მოქმედება ადგილობრივ მაჰმადიანთა წინააღმდეგ, რომელმაც ისე გაამწვავა საქმე, რომ დღევანდლამდე ვეღარ დაგვიღწევია თავი ამ გამწვავებულ მდგომარეობისათვის. და თუ ნება მისცა, რატომ თვითონ აღარ იღებს ზომებს მოღალატე ბეგების და მათი ბრბოების ასალაგმავათ და რატომ არ უხსნის ახალციხეს გზას?

არა ერთხელ გვითქვამს და კიდევ ვიმეორებთ. რომ „ადგილობრივი მაჰმადიანების მოძრაობა გამოწვეულია ავანტიურისტ და ნაძირალა ბეგების მიერ და ნუ თუ ჩვენ მთავრობას არ შესწევს ისეთი ძალა, რომლითაც შეიძლებოდეს ბეგების თავიდან მოშორება? ეს ბეგები, ხომ სამშობლოს მოღალატენი არიან, ამას როგორც „აქსიომას" მტკიცება არ უნდა, და ნუ თუ ამ ბეგებს და მათ ბრბოებს, თუ ისინი დაისჯებიან მოღალატეობისათვის ჩვენი მთავრობის მიერ, გამოესარჩლება ოსმალეთი? ერთი სიტყვით ვერ გაგვიგია, თუ რატომ ამდენ ხანს ჩვენი მთავრობა არ გვაქცევს ყურადღებას?

როგორც წინად ვწერდით გენერალმა მაყაშვილმა, ადგილობრივი სალდათთა საბჭო გამოაცხადა გაუქმებულად, ამისათვის საბჭოს დაეკარგა ყოველგვარი გავლენა ერში თუ ჯარში, მაგრამ საბჭოს მესვეურები არა სცხრებიან, არ უნდათ ხელიდან გაუშვან ძალა-უფლება და ყოველივე ღონეს და ხერხს ხმარობენ, თუ ერში არა, მაინც ჯარის კაცებში დაიმსახურონ ნდობა და მოიხვეჭონ სახელი;

რაპნის შავქვაზე საფუთო გადასახადის გადიდების კანონისა. მომხსენებელია რაჟდენ არსენიძე. 3, საბოლოო რედაქცია საქ. სამხედრო გზაზე სპეციალურ სადარაჯო რაზმის კანონისა. მომხსენებელი რაჟ. არსენიძე. 4, განხილვა საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის კანონ-პროექტისა. მომხსენებელია რ. არსენიძე. 5, სამანდატო კომისიის წინადადება საბჭოს წევრთა კანდიდატების შესახებ. მომხსენებელი თ. კიკნაძე. 6, შალვა ქარუმიძის შეკითხვა ზოგიერთ გაზეთების სააგიტაციო მოქმედების შესახებ სახელმწიფოს წინააღმდეგ. 7, საფინანსო კომისიის წევრთა დამატებითი არჩევა.

**გზათა კომისიაში**

ივლისის 10-ის სხდომაზე კომისიამ დაადგინა: დაევალოს გზათა მინისტრს დაუყოვნებლივ ჩაიბაროს შავი ზღვის რკინის გზის ის ნაწილი, რომელიც საქართველოს საზღვრებში შედის და სამი თვის განმავლობაში დაამთავროს მუშაობა სენაკ-ზუგდიდის ხაზისა.

ამისათვის ეთხოვოს საფინანსო კომისიას გადადვას გზათა მინისტრის განკარგულებაში 3 ნახევარი მილიონი მანეთი.

## ახლოს და შორს ოსმალეთი.

[illegible]

და აი სწორედ ამ ინტერესების გავლენის ქვეშ თურქებმა აღმოაჩინეს ახალი, აქამდის გეოგრაფიაში უცნობი მხარე „ოთომანთ ამიერკავკასია“,*) ზოგიერთებს კი სჯეროდათ ოსმალეთის სიტყვა და მისი დაპირებანი. ნეტარ არიან მორწმუნენი, მაგრამ საუბედუროდ ეს ნეტარება მათ მხოლოდ საიქიოს ელით, დღეს კი აჭარის და ახალციხის ბუნებრივ სიმაგრეებს ოსმალეთი დაჰპატრონებია. ამათ მოკლებული საქართველო დღეს შეიქნა უბრალო შარად, სადაც მთებში გამაგრებულ ოსმალოთა ხმლის აჩრდილი მუდამ ძილს გაუფრთხობს შრომის მოყვარე ქართველ მოქალაქეს. ამ ადგილებში ოსმალეთის დამკვიდრება ფრთებს შეასხავს პანთურქიზმის პროპაგანდას, ზურგს გაუმაგრებს ჩვენი ქვეყნის ბნელ ელემენტებს და შემდეგში ვინ იცის რა ბედი ელის საქართველოს?!

თუ ისტორიულ პროცესის შესწავლას რამე ღირებულება აქვს, მისი უბრალო თვალის გადავლებაც კი გვასწავლის, რომ ვერც ქრისტემ, ვერც სოკრატმა, ვერც ბუდამ ვერ შესძლეს კაცის ბუნების გარდაქმნა. რომ ადამიანი, როგორც ყველა სხვა ბუნების მოვლენა, ამის რაც არის და არა ის რაც ჩვენ გვინდა რომ იყოს. ომის ტრადიცია იმდენადვე ძალაა როგორც თვით კაცობრიობის ისტორია და ჯერჯერობით ჩვენ არაფერი [illegible]

ჩვენნი ეროვნული ღირებულება, ვერ შევრიგებივართ გარდამავალი ხანის მართლა არა სასიამოვნო პირობებს. ჩვენ გვწყურია წესრიგი და რადგანაც ამის გამტკიცება ჩვენ თავად ვერ მოგვიხერხებია, იმდენათ დავეცით სულით, რომ გაფაციცებით ვეძებთ ვარიაგებს და თვით ეშმაკს მიუდრეკდით მუხლს თუ კი ის „წესს და რიგს“ შემოგვიტანდა.

რის საბუთები გვაქვს ჩვენ ან და ან რა მაგალითები წარსულში, რომ ჩვენნ მეზობელ თურქებს და მათგვარებს მივენდოთ. ღალატის, აწიოკების, გაპარტახების ცეცხლის და ნაცრის მეტი რა გვინახავს წარსულში? რაში გამოიხატება მათი კულტურული, მე ვამბობ კულტურული და არა ცივილიზაციის პროგრესი განვლილ საუკუნეში, რომ ჩვენ მომავალში ვიხელმძღვანელოთ? განა გაფთორებული სარწმუნოებრივი ფანატიზმი პანისლამიზმის სახით, როგორც ძველად, ეხლაც არ არის ოსმალეთის საზოგადოების და ოჯახის ქვაკუთხედი? განა ისლამის საზოგადოების სული ეცა და წინ წასულ კაცობრიობას დაახლოვებოდა; განა იგი ისე შორს არ სდგას მისგან, როგორც შუათანა საუკუნოების ევროპის ფსიქოლოგია ჩვენი დროიდან? რანაირად გინდათ იცხოვროთ მეგობრულ იმ მოდგმის ხალხთან, რომლის ცნებაც ერზე, კაცობრიობაზე, კანონზე, მოქალაქეობაზე, პატრიოტიზმზე, ასე სასტიკად ეწინააღმდეგება ევროპის კულტურის მატარებელ ერების აზროვნებას და ჰქონის გაუვალ უფსკრულს მათ შორის დამოკიდებულებაში.

მე არაფერი საწინააღმდეგო მაჰმადის სარწმუნოების არა მაქვს-რა. შეიძლება ეს მოციქული კაცობრიობის დიდი დიდ კეთილისმყოფელად ლაგვესახა, მაგრამ, როგორც ადამიანი, მე გგმობ იმ პოლიტიკურ მეთოდს, რომელსაც ოსმანის შთამომავალნი თავიანთ ცხოვრებაში მისდევდნენ და ეხლაც მისდევენ.

მეთექვსმეტე და მეჩვიდმეტე საუკუნოებში, ეს მეთოდი შეიძლება სასწაულებს ახდენდა, მაგრამ მისი შემწეობით თურქებმა ვერსად მაგრა ფეხი ვერ მოიკიდეს. მედიდურათ და სასტიკათ დაპყრობილთადმი, უნიჭოთ პოლიტიკურ ორგანიზაციაში და ეკონომიურ თავდარიგში, მარჯვეთ მხოლოდ ომში და ძარცვა-გლეჯაში, გაჩენილთ თითქოს სიბოროტისათვის, თურქებმა კულტურულ სიღატაკის გამო ვერ შესძლეს გათქვეფა და ვერც თვითონ გაითქვიფნენ. მათ ძარცვეს ქვეყანა და იქამდის ხრეს ის, ვიდრე მათი ფეხის ნადგომზე ბალახიც არ ხარობს. მათ არაფერი არ შეუქმნიათ, არაფერი არ დაუარსებიათ, მათი ისტორიაში გამოსვლის სარგებლობა არარაობაა, მათი არსებობა ყვებერთელა ბნელი ლაქაა კაცობრიობის ისტორიაში.

II

„საქართველო ჩვენ გვეკუთნოდა სამი საუკუნის განმავლობაში“, მითხრა კონსტანტინეპოლში ყოფილმა განათლების მინისტრმა და ცნობილმა ოსმალეთის ისტორიკოსმა შუქრი-ფაშამ, „იგი შემდეგშიაც ჩვენ უნდა გვეკუთნოდეს“.

დიდი ფადიშაჰის ქვეშევრდომთ უკვე ომის დაწყებისთანავე გადასწყვიტეს ჩვენი ბედ-იღბალი და სოფელ-ქალაქ აღტაცებით მღეროდნენ:

არდაჰანდა ბათომდენის
ბირ მოსკოვი გორიორსან,
ოზალიმინ ბენინი იეს
ბათომ კანა ბოიანაჯაქ,
სოხუმ და ათეშ იანაჯაქ,
თურქ ორდუსი ბირ ჰუჯურდა
ტიფლისა დაიანაჯაქ. *)

და სხვა და სხვა.

მათ უბედურებს ავიწყდებოდათ, რომ საქართველო არც მუბაბერის საშეიხოა და არც ნეჯების საემირო, რომ ჩვენ, რაც უნდა მოხდეს, თავზედ დაგვყურებს ათასი წლების წარსული და თუ ჩვენ სხვის ჩაგლაპის მადა სურვილი და შეძლება არა გვაქვს ძაინც გვესმენია და გვესმის ჩვე ი თავის დაცვის მეცნიერება.

დღეს ალეულნი ვართ. რა უყოთ, რომ იდეა ახალ კატაკომბებს თხოულობს—იგი სისხლით ინათლება და პურპურს ატარებს. და აი სწორედ დღეს ჩვენი უკიდურესს განსაცდელის მომენტში ბარბაროსთა ძალებს ჩვენზე ჯოჯოხეთური იერიში მოაქვთ და ლამობენ ჩვენ სამშობლოში სარდანაპალის კოცონის აგებას, რომ მის შემუსრავ ალს მისცენ თვით ჩვენი ხსენებაც.

საჭირო არ არის ფრაზები და თავის მოტყუება. ჩვენ ვიცით ვისთან გვაქვს საქმე: ქართველი ერი გრძნობს თავის აწიხდელ გახკითხვის დღეს, მაგრამ მრწამს, რომ იგი შორს არის სასოწარკვეთილებიდან, რომ მისი მახვილი ყური ქვეყნიერების აურზაურში გაარჩევს უტყუარ მეგობართა ხმას და აშლვრეულ პოლიტიკის კამარაზედ მისი შორს მჭვრეტელი თვალი მონახავს თავის ლ ცვის ახალ კომბინაციებს.

ჯერ-ჯერობით კი საქართველომ შეიძლება სთქვას, რაც ერთხელ, მგონი, ჰეინემ თავის თავზედ სთქვა: „მე ქვეყანაზედ ერთად ერთი მეგობარი მყავს. მე მსურს იგი სიყვარულით გულში ჩავიკრა, მაგრამ საუბედუროდ ესეც არ შემიძლიან, რადგანაც ეს მეგობარი მე თვითონ ვარ“.

ჩვენ კიდევ ომი გვაქვს ოსმალეთთან. ჩვენ ყოველთვის ომი გვექნება მასთან, რადგანაც მას ასე სწადია და თვით ღმერთიც, რომ ჩამოვიდეს და გვარწმუნოს წინააღმდეგში, ნუ დავუჯერებთ, რადგანაც ის ღმერთიც სიცრუის ღმერთი იქნება.

ი. ტ—ლი.

*) არდაჰანში და ბათომში როგორც კი რუს დაინახავ იქვე ტვინი შეუჭამე
ბათომს სისხლით შევღებავთ,
სოხუმს ცეცხლს წაუკიდებთ
თურქების ჯარი ერთი დაკვრით
ტფილისს მივადგებით...

## ახალი ამბავი

◆ **შრომის ბიურო** ქალაქის შრომის ბირჟა სთხოვს ყველა საზოგადო ორგანიზაციას, სადაც კი შრომის ბიურო არსებობს, გამოგზავნოს თავისი წარმომადგენელი შეერთებულ სხდომაზე, რომელიც დანიშნულია შაბათს, ივლისის 13-ს, საღ. 6 ს. შრომის ბიუროს ბინაზე (მადათოვის ქ. № 11. სახლი ზუბალაშვილისა).

◆ **პურის მოსავალი.** მოსული ცნობებით საქართველოში საკმაო პური მოსულა და სახვა სახელმწიფოდან შემოტანაში აღარ ვსაჭიროებთ ამ წელს.

◆ **მკვლელობა** ღამით ივლისის 9. ჩერქეზიშვილის ქუჩაზე მოჰკლეს ენფიაზჯიაცის ქარხნის მმართველი ა. ეგანიანცი.

◆ **პოლკ. კონიაშვილს** გენერალ-მაიორობა უბოძეს ქ. დუშეთის მაზრაში ბოლშევიკებთან ბრძოლაში გამარჯვებისთვის.

◆ **ერ. საბჭოს სხდომა.** დღეს 11 საათზე სასახლის თეთრ დარბაზში დანიშნულია ეროვნულ საბჭოს სხდომა.

◆ **სომხების წარმომადგენელი საქ. რესპუბლიკაში.** საქართველოს რესპუბლიკასთან სომხეთის რესპუბლიკის დიპლომატიურ წარმომადგენლად ევანგულოვი დანიშნეს.

◆ **აბასთუმანი.** იქიდან ჩამოსულმა გადმოგვცა, ოსმალოებმა ყველაფერი გაიტანეს აბასთუმნიდან, რაც კი იყო: მთელი ავეჯეულობა, სასახლის ძვირფასი ნივთები სულ გაიტანესო.

◆ **ქუთაისიდან** საქართველოს ეროვნულ საბჭოს დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარე ჩხიკვიშვილი დეპეშით ატყობინებს: „ჩვენ აქ რაც ფული გვქონდა უკვე დაურიგეთ ლტოლვილებს. საქველმოქმედო საზოგადოებამ კიდევ უნდა გამოგვიგზავნოს 1 მილიონამდე მანეთი ლტოლვილების და დამშეულების დასახმარებლად, თანახმად ყოფილი ამიერკავკასიის მთავრობის და სეიმის დადგენილებისა. ვამოწმებთ რა, რომ გურიაში დიდი სიმშილობაა, თქვენ რწმუნებულებას გაძლევთ და საქველმოქმედო საზოგადოებას ვთხოვთ ქუთაისის გუბერნიისთვის დანიშნული ფულიდან 300.000 მანეთი თქვენ გადმოგცეთ პურის შესაძენად ქიზიყში. გვიპასუხეთ რა იმედი უნდა ვიქონიოთ ამ მხრით“.

◆ **ხოლერა** უკანასკნელ დღე-ღამეში ქალაქის საავადმყოფოს ხოლერიანთა განყოფილებაში ოცდა ერთი ავადმყოფი. გარდაიცვალა 6. საერთო ავადმყოფები მოიყვანეს 16, გარდაიცვალა 4.

**შეშა მაზუთის მაგივრად.** ქალაქის გამგეობაში საუწყებათა შორისო კრება მოხდა საწვავ მასალის კრიზისის გამო. გადასწყდა მაზუთისა და ქვანახშირის მაგივრად ხალხს მიაწოდონ შეშა და ამასთანავე მიიღონ ზომები შეშით მოვაჭრე სპეკულიანტების წინააღმდეგ. შეიმუშავეს წესი საქართველოს 8 რაიონში დაამზადონ შეშა, განზრახულია მტკიცე ფასები და კონტროლი დააწესონ კერძოდ შეშის გაყიდვისთვის.

◆ **ცნობა ამხ. გიორგი ჭუბაბრიას შესახებ.** ამხ. სოსო ალანიშვილი შემდეგ ცნობებს გადმოგვცემს ზეკარის უღელტეხილზე ბრძოლის დროს დაკარგულ ამხ. გიორგი ჭუბაბრიაზე: სამი კვირის წინად, როდესაც ნატანებში ვმუშაობდი—გადმოგვცემს ამხ. სოსო—ბათომიდან მომავალ მატარებელში შევხვდი ერთ ნაცნობ რუს ოფიცერ დანჩევსკის, რომელთანაც ერთად გასულ წლებში კავკასიის ფრონტზე ერთ პოლკში ვმსახურებდი. ეს ოფიცერი უკანასკნელად მსახურებდა მუსულმანთა კორპუსის იმ პოლკში, რომელიც დაბანაკებული იყო აბასთუმანში და ზეკარის ბრძოლის შესახებ გადმოგვცემს, რომ იმ შეტაკების დროს მაჰმადიანებმა ჩამოიყვანეს აბასთუმანში დატყვევებული ჯარისკაცი მასწავლებელი ჭუბაბრიაო, რომელიც შემდეგში გაგზავნეს აბასთუმნიდან და ყავდათ ტყვეობაში სოფელ ადიგენში: ეს სოფელი მდებარეობს აჭარის გზაზე ახალციხე-აბასთუმნის გზიდან 12 ვერსის მანძილზე.

როდესაც თათრებს დაუკავებიათ აბასთუმანი ეს მაჰმადიანთა პოლკი დაუშლიათ და რუსი ოფიცრები აჭარის გზით ბათომში გაუგზავნიათ, სწორედ ამ გზაზე სოფ. ადიგენში ენახა ამ ოფიცერს ამხ. გიორგი ჭუბაბრია, რომელსაც თურმე მაჰმადიანები კარგად ექცევიან. ბოლო ხანებში ამხ. გიორგი ბათომში უნდა გადმოეყვანათო გადმოგვცა ოფიცერმა. საჭიროა ვისგანაც ჯერ არს შესაფერი ზომები მიიღონ რათა გიორგის შესახებ გავიგოთ სინამდვილე. („ხ მ.“)

◆ **გარდაიცვალა** ცნობილი არმენისტი გალუსტ ტერ-მკრტიჩიანი (მიაბანი), სომეხთა საქართველოს ეპარქიის ეპისკოპოსის მხითარის ძმა.

**სომეხთა გადმოხვეწილები.** შინაგან საქმეთა მინისტრმა ბრძანება გასცა სომეხთა გადმოხვეწილებისთვის დაუბრკოლებლივ და გაუჩხრეკლივ გაუშვან ყველა საქონელი.

◆ **პრესბიურო.** დღეიდან საქართველოს რესპ. პრესბიურო დაჰგზავნის ყველა დაწესებულებაში თვის თანამშრომლებს ცნობების მოსაკრებად და ჟურნალ-გაზეთების რედაქციების გადასაცემად. საჭიროა, რომ დაწესებულებებმა ამიერიდან მარტოდ მარტო პრესბიუროს წარმომადგენლებს მიაწოდონ ცნობები.

## ერობის შემოღება

**საერობო არჩევნები სართიჭალის რაიონში.**

ტფ. მაზრის ალმასრ. კომიტეტის პრეზიდიუმი, რომელიც აწარმოებს მაზრაში საერობო არჩევნებს, ამიერკავკასიის ერობის დაწეს. დროებით დადგ. მე-77 სტატ. ძალით ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ სართიჭალის ოლქიდან შემოვიდა ერთი შეერთებულია სია სოც.-ფედერალისტთა და სოც.-დემოკრ. მუშათა პარტიებისა. კანდიდატები შემდეგნი არიან:

1. ასათიანი ლევან გიორგის ძე, ვექილი.
2. ჭიაბრიშვილი ანდრო, ეროვნული საბჭოს წევრი.
3. ბესელიძე იოსები, ტფ. ქალაქის გამგეობის წევრი.
4. ჯიდაური გიორგი დავითის ძე, სართიჭალის რაიონის კომისარი.
5. ბერძნიშვილი მაქსიმე დავითის ძე (ს.-ფ.), ფილოლოგი.
6. კანჯარაშვილი ვასილი, საუბნო სამდგილ მამულო კ—ის თავმჯ.
7. არუთიუნოვი ალექსანდრე ავეტის ძე, საგარეჯოს ალმასრ. კ—ის წევრი.
8. ბილანოვი არჩილ გიორგის ძე (ს.-ფ.), ინჟინერი.
9. კანდელაკი მიხეილ ნიკოლოზის ძე, აგრონომი.
10. თევდორაშვილი გიორგი, მემანქანე.
11. კანდელაკი გიორგი კოოპერატორი.
12. ბილანოვი ვალერიანე, მუშა.
13. დაფქვიაშვილი მიხეილ დიმიტრის ძე (ს. ფ.), მეურნე.
14. სიროვატკინი პავლე, მწერალი.
15. გასანოვი ფაშა, მეურნე.
16. ქურხული ნიკოლოზ იოსების ძე (ს. ფ.), რკ. გზის მუშა.
17. ჯიდაური მიხეილ სოლომონის ძე, მეურნე.
18. მანველიძე ილია, (ს.-ფ.), მეურნე
19. ქურდიან ძე იოსებ სოლომონის ძე (ს.-ფ.), მეურნე.
20. გძელაძე ნიკოლოზი, მეურნე.
21. მეკოშკიშვილი ალექსანდრე, მეურნე.
22. გურჯანაძე ვასილ ივანეს ძე. მეურნე.
23. ბერძნიშვილი გიორგი, მეურნე.
24. ქურხიშვილი სანდრო იოსების ძე მუშა.

## საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში.

დღეს, ივლისის 12, ნაძალადევში დანიშნული არა ჩვეულებრივი კრება, სადაც მოხსენებებს წაიკითხავენ ამხანაგები: ალ. წერეთელი და ვახტანგ კოტეტიშვილი. განსახილველია სხვა საკითხებიც. არ დაიგვიანოთ. დასაწყისი საღ. 7 საათ. (ეკლესიის ეზო. სკოლის შენობა.).

## საადგ.-მამულ. რეფორმა

**ლაგოდეხის რაიონი** მდებარეობს სიღნაღის მაზრაში, ზაქათალის ოლქის და თელავის მაზრის საზღვრებს შუა—ერთის მხრივ და მდ. ალაზნის და დაღესტნის მთების შუა მეორეს მხრივ.—მთელი ეს რაიონი შესდგება

[illegible]

ქალაქის ძველი ნაწილის კომისარს: დანამდვილებით გავიგე, რომ ქალაქის ხიდის აფეთქება სწადიანთ, ამიტომ საჭიროა ამის წინააღმდეგ ზომების მიღებაო. ჩვენთვის ძნელია, საიდან გაიგო ასეთი „უხეში ჭორი“ მილიციის უფროსმა? მაგრამ ფაქტი ის არის, რომ ამ ნიადაგზეც 23 აპრილს დილით ადრე, სომეხ მილიციონერის მიერ შეპყრობილ იქმნა ორი ღარიბი ქართველი ებრაელი, რომლებიც მიდიოდნენ სოფ. სხვილისისაკენ, (ქრისტიანთა სოფელია) ერთი ლუკმა პურის საშოვნელად. ამ ფაქტის მოწმე ვიყავით ჩვენ და ვუცქეროდით, რანაირ მოეპყრობოდა ებრაელებს მილიციონერი ლანძღვა-გინებით იხსენიებდა მათ და დასძენდა: თქვენ გინდათ ხიდის აფეთქებაო?!

საბედნიეროთ, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ შემთხვევაშიც გამართლდნენ ქართველი ებრაელები, მაგრამ პროვოკაციამ ისეთი მწვავე ხასიათი მიიღო, რომ ბ-ნ რაბინ დ. ბააზოვის თხოვნით მოწვეულ იქმნა ადგილობრივ ქართველთა ეროვნულ საბჭოს საგანგებო კრება, რომელზედაც სხვათა შორის მიწვეულ იყვნენ გენერალი მაყაშვილი, ქალაქის კომენდანტი პოლკოვნიკი ყანჩელი, ქალაქის თავი ზორიანი, მღვდ. დ. ხახუტაშვილი და სხვა. ბ-ნ დ. ბააზოვს, რომელიც ებრაელებთან ერთად იცავს ქართველ-ქრისტიანების ინტერესებსაც, კატეგორიულად მოუთხოვნია ებრაელებისადმი მიმართულ პროვოკაციის ერთხელ და სამუდამოდ მოსპობა. სხვათა შორის, კრებას უთხოვნია მღვდლებისთვის, გამოუცხადონ თავიანთ მრევლს, ნუ დაუჯერებენ ასეთ პროვოკაციის ნიადაგზე გავრცელებულ ხმებს, მაგრამ ორივე მღვდელს ამნაირ დავალების შესრულებაზე ცივი უარი უთქვამთ და კრებისთვის განუცხადებიათ: როგორ შეგვიძლია ვუქადაგოთ მრევლს, რომ ებრაელები ჯაშუშები არ არიან, როდესაც ამის დამამტკიცებელი საბუთები ხელთ არა გვაქვსო. ახირებული განცხადება! ამიტომ ვეკითხებით ორივე მღვდლებს: რომელი საბუთების ძალით შეგკარვიათ ეჭვი ებრაელების ჯაშუშობაში? რომელმა ქართველმა ქრისტიანმა იჩივლა თქვენთან, რომ ებრაელები ჯაშუშობენ და იყო განა მაგალითი, რომ ქართველ ქრისტიანს შეეპყროს ებრაელი ჯაშუშობისთვის?

ჩვენ ენერგიულ პროტესტს ვაცხადებთ ასეთი განცხადების წინააღმდეგ, ვინაიდან ებრაელებისადმი მიმართულ პროვოკაციაში, ქართველ ქრისტიანებს არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ და ბრალიც არ უდევთ. ეს კარგად იცის თვით ადგილობრივ ქართველ ებრაელობამაც.

საგულისხმიეროა ერთი მაგალითი: 13 აპრილს სოფ. ანდაში ქართველ ქრისტიანებთან ერთად დაიჭრა ერთი ქართველი ებრაელი ჯარის კაცი, რომლის დაჭრასაც მისი მშობლები შეხვდნენ ტირილით, (ასეთ მოვლენას როთელი მშობელი შეხვდება სიცილით და სიხარულით?) მაგრამ გამოჩნდნენ სომხის ბნელი ძალები და ტირილიც კი აუკრძალეს სამშობლოსათვის დაჭრილ ქართველ ებრაელის ჯარის კაცის მშობლებს.

არ შევეხებით ებრაელების წარსულს, რადგაც ეს ძალიან შორს წაგვიყვანს; მხოლოდ ვიტყვით, რომ მთელ დედამიწის ზურგზე ებრაელობას სუყველა კეთილ დარგში დიდი შრომა და ღვაწლი მიუძღვის. საერთოთ ებრაელობა არის გონება მახვილი და იჭით სავსე ერთაგანი. კერძოთ საქართველოსთვის ქართველ ებრაელობას იოტის ხელა ზარალი არ მიუყენებია, პირიქით ჭირშიც და ლხინშიც ძმურად უცხოვრია ქრისტიან ქართველებთან და სცხოვრობს კიდეც.

